უნივერსიტეტის დასახელება და შესრულების ადგილი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, სახელი და გვარი

მათემატიკის მაგისტრი

გიორგი ტეფნაძე

სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება

ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი უოლშის და კაჩმაჟის სისტემების ნორლუნდის საშუალოების შესახებ

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება

მათემატიკა

ხელმძღვანელი

მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი:

უშანგი გოგინავა

2013 წ.

სარჩევი

ანოტაცია

annotation

ჩვენ შევისწავლით მონოტონური კოეფიციენტების მქონე ნორლუნდის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორისთვის (H_p, L_p) და $(H_p, weak-L_p)$ ტიპის უტოლობებს ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი უოლშ-ფურიეს და კაჩმაჟ-ფურიეს სისტემების მიმართ. ჩვენ ასევე გამოვიყენებთ მიღებულ შედეგებს იგივე ტიპის ნორლუნდის საშუალოების თ.ყ კრებადობის საკითხების დასადგენად.

The main aim of this paper is to investigate (H_p, L_p) and $(H_p, weak-L_p)$ type inequalities of the maximal operators of Nörlund means with monotone coefficients, with respect one and two dimensional Walsh-Fourier and Kachzmaz-Fourier systems. We also use our result to prove a.e convergence of such Nörlund means.

შესავალი

უოლშის სისტემისთვის ერთგანზომილებიან შემთხვევაში L_1 კლასის ფუნქციის ფეიერის საშუალოების თ.ყ კრებადობა დაამტკიცა $Fine$ -მა [1]. 1975 წელს $Schipp$ -მა [2] აჩვენა, რომ ფეიერის საშუალოების მაქსიმალურ ოპერატორს $\sigma^{*,w}$ −ს აქვს სუსტი-(1,1) ტიპი და (p, p) ტიპი, როცა p >1. შემოსაზღვრულობას არ აქვს ადგილი როცა p =1. მაგრამ $Fujii$ -მ [3] დაამტკიცა, რომ ფეიერის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი $\sigma^{*,w}$ შემოსაზღვრულია H_1 დან L_1. $Fujii$ -ს თეორემა განაზოგადა $Weisz$ -მა [4]. მან დაამტკიცა, რომ მაქსიმალური ოპერატორი $\sigma^{*,w}$ შემოსაზღვრულია H_p -დან L_p -ში, როცა p >1/2. $Simon$ [5] ააგო მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ შემოსაზღვრულობას არა აქვს ადგილი, როცა $0<p<1/2$. ანალოგიური შედეგი $p=1/2$ -თვის დაამტკიცა $Goginava$ -მ [6] (იხილეთ აგრეთვე [7]). $Goginava$ -მ [8] განაზოგადა ეს შედეგი და აჩვენა, რომ არსებობს მარტინგალი $f\in H_{1/2}$ ისეთი, რომ $\sup\limits_n \left\|\sigma_n^w f\right\|_{L_{1/2}}=\infty$.

$Weisz$ -მა [9] აჩვენა, რომ სამართლიანია შემდეგი:

თეორემა W1: უოლშ-ფეიერის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი $\sigma^{*,w}$ შემოსაზღვრულია $H_{1/2}$ -დან weak- $L_{1/2}$ -ში.

ორგანზომილებიანი უოლშ-ფურიეს სისტემისთვის $Weisz$ -მა [10] დაამტკიცა, რომ მაქსიმალური ოპერატორი $\sigma^{*,*,w}$ შემოსაზღვრულია $H_p(G\times G)$-დან $L_p(G\times G)$-ში როცა $p>2/3$. $Goginava$ -მ [11] დაამტკიცა, რომ რომ სამართლიანია შემდეგი:

თეორემა W2: უოლშ-ფეიერის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი $\sigma^{*,*,w}$ შემოსაზღვრულია $H_{2/3}(G\times G)$-დან weak- $L_{2/3}(G\times G)$-ში.

$Goginava$ -მ [12] ასევე აჩვენა, რომ $\sigma^{*,*,w}$-ის შემოსაზღვრულობას არ აქვს ადგილი $H_{2/3}(G\times G)$-დან $L_{2/3}(G\times G)$-ში. საიდანაც ინტერპოლაციის საშუალებით დავადგენთ, რომ $\sigma^{*,*,w}$ არ არის შემოუსაზღვრელი $H_p(G\times G)$-დან weak- $L_p(G\times G)$, როცა $0<p<2/3$.

კაჩმაჟის სისტემისთვის ერთგანზომილებიან შემთხვევაში L_1 კლასის ფუნქციის ფეიერის საშუალოების თ.ყ კრებადობა დაამტკიცა Gát -მა [13]. მან აჩვენა,

რომ ფეიერის საშუალოების მაქსიმალურ ოპერატორს $\sigma^{*,\kappa}$ $-$ს აქვს სუსტი-(1,1) ტიპი და (p,p) ტიპი, როცა $p>1$. Gát -ის თეორემა განაზოგადა *Simon*-მა [14]. მან დაამტკიცა, რომ მაქსიმალური ოპერატორი $\sigma^{*,\kappa}$ შემოსაზღვრულია H_p-დან L_p-ში, როცა $p>1/2$. *Goginava*-მ და *Nagy*-მ [15] აჩვენეს, რომ შემოსაზღვრულობას არ აქვს ადგილი, როცა $p=1/2$. *Weisz*-მა [16] დაამტკიცა, რომ რომ სამართლიანია შემდეგი:

თეორემა K1: კაჩმაჟ-ფეიერის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი $\sigma^{*,\kappa}$ შემოსაზღვრულია $H_{1/2}$-დან weak-$L_{1/2}$-ში.

ორგანზომილებიანი კაჩმაჟის სისტემისთვის *Goginava*-მ [17] დაამტკიცა, რომ რომ სამართლიანია შემდეგი:

თეორემა K2: კაჩმაჟ-ფეიერის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორი $\sigma^{*,*,\kappa}$ შემოსაზღვრულია $H_{2/3}(G\times G)$-დან weak-$L_{2/3}(G\times G)$.

Goginava-მ [17] ასევე აჩვენა, რომ $\sigma^{*,*,\kappa}$ არის შემოსაზღვრული $H_{2/3}(G\times G)$-დან $L_{2/3}(G\times G)$-ში. საიდანაც ინტერპოლაციის გამოყენებით დავადგენთ, რომ $\sigma^{*,*,\kappa}$ არ არის შემოსაზღვრული $H_p(G\times G)$-დან weak-$L_p(G\times G)$, როცა $0<p<2/3$.

უოლშის სისტემისთვის ერთგანზომილებიან შემთხვევაში ზოგიერთი ნორლუნდის საშუალოს L_1 ნორმით კრებადობის საკითხი განიხილეს *Moricz*-მა და *Siddiqi*-მა [18], ხოლო ორი ცვლადის შემთხვევაში კი *Nagy*-მ [19]. ნორლუნდის საშუალოს კერძო შემთხვევები ერთგანზომილებიან და ორგანზომილებიან შემთხვევებში უოლშის და კაჩმაჟის სისტემების მიმართ განხილულია ასევე Gát-ის, *Goginava*-ს, *Nagy*-ის, *Weisz*-ის, J. Pál -ის, *Simon*-ის შრომებში (იხილეთ [20-27]).

ჩვენ შევისწავლით მონოტონური კოეფიციენტების მქონე ნორლუნდის საშუალოების მაქსიმალური ოპერატორისთვის (H_p,L_p) და ($H_p, weak-L_p$) ტიპის უტოლობებს ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი უოლშ-ფურიეს და კაჩმაჟ-ფურიეს სისტემების მიმართ. ასევე განვიხილავთ იგივე ტიპის ნორლუნდის საშუალოების თ.ყ კრებადობის საკითხებს.

კერძოდ ჩვენ დავამტკიცებთ, ნორლუნდის საშუალოები ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი უოლშის და კაჩმარსკის სისტემების მიმართ, განსაზღვრული $\{q_n : n\geq 0\}$ არაუარყოფითი მიმდევრობით

$$t_n^{\beta} f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_k^{\beta} f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta=\kappa)$$

$$t_{n,n}^{\beta} f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_{k,k}^{\beta} f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

რეგულარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$\lim_{n\to\infty}\frac{q_{n-1}}{Q_n} = 0,$$

საიდანაც კონკრეტულ შემთხვევაში, როცა $\{q_n : n \geq 0\}$ მიმდევრობა მონოტონურია, მივიღებთ t_n^{β} -ის და $t_{n,n}^{\beta}$ -ის რეგულარობას.

ერთგანზომილებიან შემთხვევაში შვენ ვაჩვენებთ რომ ყოველი ნორლუნდის საშუალო

$$t_n^{\beta} f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_k^{\beta} f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$ და ყოველი ნორლუნდის საშუალო, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას $q_0 / Q_n = O(1/n)$, მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,\beta} f = \sup_{n\in N}\left|t_n^{\beta} f\right|, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

შემოსაზღვრულია $H_{1/2}$ -დან სუსტ- $L_{1/2}$ -ში და არ არის შემოსაზღვრული H_p -დან $weak - L_p$ -ში, როცა $0 < p < 1/2$.

ორგანზომილებიან შემთხვევაში შვენ ვაჩვენებთ რომ ყოველი ნორლუნდის საშუალო

$$t_{n,n}^{\beta} f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_{k,k}^{\beta} f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$ და ყოველი ნორლუნდის საშუალო, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას $q_0 / Q_n = O(1/n)$, მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,*\beta} f = \sup_{n\in N}\left|t_{n,n}^{\beta} f\right| \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

შემოსაზღვრულია $H_{2/3}$ -დან $L_{2/3}$ -ში და არ არის შემოსაზღვრული H_p -დან $weak - L_p$ -ში, როცა $0 < p < 2/3$.

განმარტებები და აღნიშვნები

N_+ $-$ით ავღნიშნოთ მთელი დადებით რიცხვების სიმრავლე, ხოლო $N-$ით მთელი არაუარყოფითი რიცხვების სიმრავლე $N := N_+ \cup \{0\}$. განვიხილოთ დისკრეტული ორობითი ჯგუფი Z_2 :={0,1}, mod(2) შეკრების ოპერაციის მიმართ. Z_2-ზე გვაქვს ჰაარის ზომა, თითოეულ ელემენტის ზომა არის 1/2. G $-$თი ავღნიშნოთ ამ ჯგუფების პირდაპირი ნამრავლი

$$G = \prod_{k=0}^{\infty} Z_2 \ .$$

G-ს ელემენტებს წარმოადგენს მიმდევრობები $x = (x_i, i \in N)$, სადაც $x_i = 0,1$, ($i \in N$). მოცემულ ჯგუფზე შეკრების ოპერაცია განიმარტება, როგორც შესაბამისი კოორდინატების mod(2)-ით ჯამი. ზომა (აღნიშნული μ-თი) და ტოპოლოგია არის შესაბამისად ზომებისა და ტოპოლოგიების პირდაპირი ნამრავლი. G-ს ეწოდება უოლშის ჯგუფი. G-ს ქვესიმრავლეებს აქვთ შემდეგი სახე:

$$I_0 := G, \quad I_n(x) := I_n(x_0, x_1, ..., x_{n-1}) := \{y \in G : y = (x_0, x_1, ..., x_{n-1}, y_n, y_{n+1})\} \ \ x \in G, n \in N \ .$$

ამ სიმრავლეებს ეწოდებათ ორობითი ინტერვალები.

აღვნიშნოთ $I_n := I_n(0)$ და $\overline{I_n} := G \setminus I_n$, $\Lambda_n = (0,...,0, x_n = 1,0,...) \in G$, ($n \in N$).

ყოველი N-თვის გვაქვს ცალსახა წარმოდგენა $n = \sum_{i=0}^{\infty} n_i 2^i$, სადაც $n_i \in \{0,1\}$ და მხოლოდ n_i-ების სასრული რაოდენობა განსხვავდება ნულისგან. თუ ავღნიშნავთ $|n| := \max\{ j \in N, n_j = 0\}$, მაშინ $2^{|n|} \le n < 2^{|n|+1}$.

ავღნიშნოთ $L_1(G)$-ით ჩვეულებრივი ერთგანზომილებიანი ლებეგის სივრცე.

განვმარტოთ k-ური რადემახარის ფუნქცია:

$$r_k(x) := (-1)^{x_k} \ , (k \in N \ , \ x \in G).$$

განვსაზღვროთ უოლშის სისტემა, როგორც

$$w_n(x) := \prod_{k=0}^{\infty} (r_k(x))^{n_k} = r_{|n|}(x)(-1)^{\sum_{k=0}^{|n|-1} n_k x_k} \quad (n \in N).$$

განვმარტოთ n-ური კაჩმაჟის ფუნქცია შემდეგნაირად:

$$\kappa_n(x) := \prod_{k=0}^{|n|-1} (r_{|n|-1-k}(x))^{n_k} = r_{|n|}(x)(-1)^{\sum_{k=0}^{|n|-1} n_k x_{|n|-k-1}} \quad (n \in N).$$

სკვორცსოვმა მოგვცა კავშირი კაჩმაჟის ფუნქციებსა და უოლშის ფუნქციებს შორის შემდეგი გარდაქმნით

$$\tau_A(x) := (x_{A-1}, x_{A-2}, ..., x_0, x_A, x_{A+1}, ...),$$

სადაც $A \in N$. განმარტებით ჩვენ გვაქვს

$$\kappa_n(x) = r_{|n|}(x) w_{n-2^{|n|}}(\tau_n(x)), \qquad (n \in N, x \in G).$$

განვიხილოთ კერძო ჯამები უოლშის და კაჩმაჟის სისტემების მიმართ

$$S^{\beta}{}_M(f) := \sum_{i=0}^{M-1} \hat{f}_{\beta}(i) \beta_i(x), \qquad (\beta_i = w_i \text{ ან } \beta_i = \kappa_i, \ (i \in N))$$

სადაც $\hat{f}_{\beta}(i)$ წარმოადგენს f ფუნქციის უოლშ-ფურიეს i -ურ კოეფიციენტს შესაბამისად უოლშის და კაჩმაჟის სისტემების მიმართ:

$$\hat{f}(i) := \int_G f(x) \beta_i(x) d\mu(x), \quad (\beta_i = w_i \text{ ან } \beta_i = \kappa_i, \ (i \in N))$$

ადგილი აქვს შემდეგ წარმოდგენას

$$S_n^{\beta}(f(x)) = \int_G f(t) D_n^{\beta}(x+t) d\mu(t)$$

სადაც

$$D_n^{\beta} = \sum_{k=0}^{n-1} \beta_k, \quad (\beta_i = w_i \text{ ან } \beta_i = \kappa_i, \ (i \in N))$$

დირიხლეს გული ეწოდება.

კარგადაა ცნობილი, რომ (იხილეთ 28)

(1) $$D_{2^n}^{w} = D_{2^n}^{\kappa} = D_{2^n} = \begin{cases} 2^n, x \in I_n, \\ 0, x \notin I_n. \end{cases}$$

განვიხილოთ p ხარისხსით ინტეგრებად ფუნქციათა სივრცე $L_p(G)$ ნორმით

$$\|f\|_{L_p} := \left(\int_G |f(x)|^p d\mu(x) \right)^{1/p}, \qquad (0< p < +\infty).$$

$weak$ - $L_p(G)$ სივრცე შეიცავს ზომად ფუნქციებს, რომელთათვისაც

$$\|f\|_{weak-L_p} := \sup_{\lambda>0} \lambda \mu(|f| > \lambda)^{1/p} < +\infty, \qquad (0< p < +\infty).$$

$\sigma-$ალგებრა, რომელიც წარმოქმნილია 2^{-k} ზომის მქონე ორობითი ინტერვალებით I_k ავღნიშნოთ $F_k(k \in N)$-თი.

ავღნიშნოთ $f=\left(f^{(n)}, n \in N\right)$ -ით მარტინგალი $F_k(k \in N)$ ნაკადის მიმართ. f მარტინგალის მაქსიმალური ფუნქცია განიმარტება შემდეგნაირად

$$f^{*}=\sup_{n \in N}\left|f^{(n)}\right|.$$

თუ $f \in L_1(G)$, მაშინ მაქსიმალური ფუნქცია მოიცემა შემდეგი სახითაც

$$f^{*}=\sup_{n \in N} \frac{1}{\mu(I_n(x))}\left|\int_{I_n(x)} f(u) d\mu(u)\right|.$$

ჰარდის მარტინგალების სივრცე $H_p(G)$ $(0< p<\infty)$ შეიცავს ისეთ მარტინგალებს, რომელთათვისაც

$$\|f\|_{H_p}:=\left\|f^{*}\right\|_{L_p}<\infty.$$

შემოსაზღვრულ ზომად ფუნქციას a -ს ეწოდება $p-$ატომი თუ არსებობს ორობითი ინტერვალი I, ისეთი, რომ

$$\begin{cases} a) \int_G a d\mu=0, \\ b) \|a\|_{\infty} \leq \mu(I)^{-1/p}, \\ c) \sup p(a) \subset I. \end{cases}$$

$Weisz$ -მა $p-$ატომების საშუალებით მოგვცა $H_p(G)$ $(0<p \leq 1)$ სივრცეების ახალი დახასიათება:

თეორემა ($Weisz$) მარტინგალი $f=\left(f^{(n)}, n \in N\right)$ ეკუთვნის $H_p(G)$ $(0<p \leq 1)$ მაშინ და მხოლოდ მაშინ როცა არსებობს $p-$ატომების მიმდევრობა $\left(a_k, k \in N\right)$ და ნამდვილი რიცხვების მიმდევრობა $\left(\mu_k, k \in N\right)$ ისეთი რომ ყოველი $n \in N$ -თვის

$$\sum_{k=0}^{\infty} \mu_k S_{2^n}(a_k)=f^{(n)}, \tag{2}$$
$$\sum_{k=0}^{\infty}\left|\mu_k\right|^p<\infty.$$

უფრო მეტიც

$$\|f\|_{H_p} \approx \inf\left(\sum_{k=0}^{\infty}\left|\mu_k\right|^p\right)^{1/p},$$

სადაც ინფიმუმი აღებულია ყველა შესაძლო წარმოდგენებს შორის, რომელთაც აქვთ (2)-ს სახე.

ამ თეორემის გამოყენებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოპერატორის შემოსაზღვრულობის საჩვენებლად $H_p(G)$-დან $H_p(G)$-ში ან $H_p(G)$-დან $L_p(G)$-ში საკმარისია შემოწმდეს შემოსაზღვრულობა მხოლოდ $p-$ატომებზე. უფრო მეტიც, სამართლიანია შემდეგი:

ვთქვათ T სუბწრფივი ოპერატორია და $0<p\le 1$თვის

$$\sup_{\rho>0}\rho^p\left\{x\in G\setminus I:|Ta|>\rho\right\}\le c_p<\infty,$$

ყოველი p ატომისთვის a, სადაც I აღნიშნავს a ატომის სუპორტს. თუ T შემოსაზღვრულია L_∞ დან L_∞ ში, მაშინ

$$\|Tf\|_{weak-L_p}\le c_p\|f\|_{H_p},$$

თუ დამატებით $p<1$, მაშინ T-ს აქვს სუსტი (1,1) ტიპი. ე.ი. თუ $f\in L_1$, მაშინ

$$\sup_{\lambda>0}\lambda\ \mu\{|Ta|>\lambda\}\le c\|f\|_{L_1}.$$

თუ $f\in L_1(G)$, მაშინ $\left(S_{2^n}^{\beta}(f):n\in N\right)$ არის მარტინგალი.

$f=\left(f^{(n)},n\in N\right)$ მარტინგალისათვის უოლშ-ფურიეს და კაჩმაჟ-ფურიეს კოეფიციენტები განიმარტება შემდეგი განსხვავებული გზით:

$$\hat{f}(i):=\lim_{k\to\infty}\int_G f^{(k)}(x)\beta_i(x)d\mu(x),\quad (\beta_i=w_i \text{ ან } \beta_i=\kappa_i,\ (i\in N)).$$

$f\in L_1(G)$ ფუნქციის უოლშ-ფურიეს კოეფიციენტები ემთხვევა $\left(S_{2^n}(f):n\in N\right)$ მარტინგალის შესაბამის უოლშ-ფურიეს კოეფიციენტებს.

ვთქვათ $\{q_n:n\ge 0\}$ არაუარყოფითი რიცხვების მიმდევრობაა. f ფუნქციის n-ური ნორლუნდის საშუალო განიმარტება შემდეგნაირად:

$$\frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n}q_{n-k}S_k^{\beta}f,\quad n\ge 1,$$

სადაც $Q_n:=\sum_{k=0}^{n-1}q_k$ და $\beta_i=w_i$ ან $\beta_i=\kappa_i$, $(i\in N)$.

დავუშვათ, რომ $q_0>0$ და $\lim_{n\to\infty}Q_n=\infty$. ამ შემთხვევაში (იხილე 29) ნორლუნდის საშუალოების მიმდევრობა უოლშის სისტემის მიმართ, განსაზღვრული $\{q_n\}$ არაუარყოფითი მიმდევრობით, რეგულარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

(3) $$\lim_{n\to\infty}\frac{q_{n-1}}{Q_n}=0.$$

სამართლიანია შემდეგი წარმოდგენა

$$t_n^{\beta} f(x)=\int_G f(t)L_n^{\beta}(x+t)d\mu(t),\quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa)$$

სადაც

$$L_n^{\beta}:=\frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n}q_{n-k}D_n^{\beta},\quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa)$$

არის ნორლუნდის გული.

თუ $q_k=1,$ ყველა $k\in N_+$-თვის მაშინ ჩვენ მივიღებთ ფეიერის საშუალო ($(C,1)$-საშუალო)

$$\sigma_n^{\beta} f:=\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}S_k^{\beta} f,\quad n\in N_+,\ \sigma_0^{\beta} f:=0.$$

ადგილი აქვს შემდეგ ტოლობას (იხილეთ [30]):

ვთქვათ, $A>t,\ t,A\in N$, $x\in I_t\setminus I_{t+1}$. მაშინ

$$K_{2^A}^{w}(x)=\begin{cases}0, x-x_t\Lambda_t\notin I_A,\\ 2^{t-1}, x-x_t\Lambda_t\in I_A.\end{cases}$$

ვთქვათ $x\in I_A$, მაშინ

$$K_{2^A}^{w}=2^{A-1}-1/2.$$

ასევე კარგადაა ცნობილი ფეიერის გულის შემდეგი შეფასებები:

(4) $$\left|K_{2^A}^{w}(x)\right|\le c\sum_{s=1}^{A}2^s 1_{I_A(\Lambda_s)}(x),$$

$$n\left|K_n^{w}(x)\right|\le c\sum_{s=1}^{|n|}2^s\left|K_{2^s}(x)\right|,$$

(5) $$\sup_{n\in N}\int_G\left|K_n^{w}(x)\right|d\mu(x)\le c<\infty$$

და

(6) $$n\left|K_n^{\kappa}(x)\right|=1+\sum_{i=0}^{|n|-1}2^i D_{2^i}(x)+\sum_{i=0}^{|n|-1}2^i r_i(x)K_{2^i}^{w}(\tau_i(x))$$
$$+\left(n-2^{|n|}\right)\left(D_{2^{|n|}}(x)+r_{|n|}(x)K_{n-2^{|n|}}^{w}\left(\tau_{|n|}(x)\right)\right).$$

უოლშ-ფურიეს და კაჩმაჟ-ფურიეს მწკრივის (C,α) $(0<\alpha<1)$ საშუალოები განიმარტება შემდეგნაირად:

$$\sigma_n^{\alpha,\beta} f := \frac{1}{A_n^{\alpha}} \sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha-1} S_k^{\beta} f, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa, \quad n \in N)$$

სადაც

(7) $$A_0^{\alpha} = 0, \qquad A_n^{\alpha} = \frac{(\alpha+1)\ldots(\alpha+n)}{n!}, \quad \alpha \neq -1,-2,\ldots$$

კარგადაა ცნობილი რომ

(8) $$A_n^{\alpha} = \sum_{k=1}^{n} A_{n-k}^{\alpha-1},$$

$$A_n^{\alpha} - A_{n-1}^{\alpha} = A_n^{\alpha-1},$$

$$A_n^{\alpha} \approx n^{\alpha}.$$

ასევე განვიხილოთ შებრუნებული (C,α) $(0<\alpha<1)$ საშუალო:

$$\tau_n^{\beta} := \frac{1}{A^{\alpha}{}_n} \sum_{k=1}^{n} A_k^{\alpha-1} S_k^{\beta} f, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa, \quad n \in N).$$

თუ $q_k = 1/k,$ ჩვენ მივიღებთ ნორლუნდის ლოგარითმული საშუალოს

$$R_n^{\beta} f := \frac{1}{l_n} \sum_{k=0}^{n-1} \frac{S_k^{\beta} f}{n-k}, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa, \quad n \in N)$$

სადაც

$$l_n = \sum_{k=1}^{n} \frac{1}{k}.$$

ასევე განვიხილოთ შებრუნებული R_n^{β} $(0<\alpha<1)$ საშუალო p_n^{β}, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც რისის საშუალო:

$$P_n^{\beta} f := \frac{1}{l_n} \sum_{k=1}^{n} \frac{S_k^{\beta} f}{k}, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa, \quad n \in N).$$

f მარტინგალისთვის განვიხილოთ შემდეგი მაქსიმალური ოპერატორები:

$$\sigma^{*,\beta} f := \sup_{n\in N} \left|\sigma_n^{\beta} f\right|,$$

$$\sigma^{\alpha,*,\beta} f := \sup_{n\in N} \left|\sigma_n^{\alpha,\beta} f\right|,$$

$$\tau^{\alpha,*,\beta} f := \sup_{n\in N} \left|\tau_n^{\alpha,\beta} f\right|,$$

$$R^{*,\beta} f := \sup_{n\in N} \left| R_n^{\beta} f \right|,$$

$$P^{*,\beta} f := \sup_{n\in N} \left| P_n^{\beta} f \right|,$$

სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

განვიხილოთ p ხარისხსით ინტეგრებად ფუნქციათა ორგანზომილებიანი სივრცე $L_p(G\times G)$ ნორმით

$$\|f\|_{L_p(G\times G)} := \left(\int_{G\times G} \left| f(x_1,x_2)\right|^p d\mu(x_1,x_2) \right)^{1/p}, \quad (0< p < +\infty).$$

$weak$ - $L_p(G\times G)$ სივრცე შეიცავს ზომად ფუნქციებს, რომელთათვისაც

$$\|f\|_{weak-L_p(G\times G)} := \sup_{\lambda>0} \lambda\ \mu(|f| > \lambda)^{1/p} < +\infty, \quad (0< p < +\infty).$$

$\sigma -$ალგებრა, რომელიც წარმოქმნილია ორგანზომილებიანი ორობითი ინტერვალებით $I_k(x_1)\times I_k(x_2)$, ზომით $2^k \times 2^k$ ავღნიშნოთ $F_{k,k}(k\in N)$-თი.

ავღნიშნოთ $f = \left(f^{(n,n)}, n\in N\right)$ -ით მარტინგალი $F_{k,k}(k\in N)$ ნაკადის მიმართ.

f მარტინგალის მაქსიმალური ფუნქცია განიმარტება შემდეგნაირად

$$f^{*,*} = \sup_{n\in N} \left| f^{(n,n)} \right|.$$

თუ $f \in L_1(G\times G)$, მაშინ მაქსიმალური ფუნქცია მოიცემა შემდეგი სახითაც

$$f^{*,*} = \sup_{n\in N} \frac{1}{\mu(I_n(x_1)\times I_n(x_2))} \left| \int_{I_n(x_1)\times I_n(x_2)} f(u_1,u_2) d\mu(u_1,u_2) \right|.$$

ჰარდის მარტინგალების სივრცე $H_p(G\times G)$ $(0< p <\infty)$ შეიცავს ისეთ მარტინგალებს, რომელთათვისაც

$$\|f\|_{H_p} := \left\| f^{*,*} \right\|_{L_p} < \infty.$$

შემოსაზღვრულ ზომად ფუნქციას a-ს ეწოდება $p-$ატომი თუ არსებობს ორობითი ინტერვალი $I\times I$, ისეთი, რომ

$$\begin{cases} a)\int_{G\times G} a\, d\mu = 0, \\ b)\|a\|_{\infty} \le \mu(I\times I)^{-1/p}, \\ c)\sup p(a) \subset I\times I. \end{cases}$$

Weisz -მა $p-$ატომების საშუალებით მოგვცა $H_p(G\times G)$ ($0<p\le 1$) სივრცეების დახასიათება:

თეორემა (*Weisz*) მარტინგალი $f=\left(f^{(n,n)},n\in N\right)$ ეკუთვნის $H_p(G\times G)$ ($0<p\le 1$) მაშინ და მხოლოდ მაშინ როცა არსებობს $p-$ატომების მიმდევრობა $(a_k,k\in N)$ და ნამდვილი რიცხვების მიმდევრობა $(\mu_k,k\in N)$ ისეთი რომ ყოველი $n\in N$ -თვის

$$\begin{aligned}&\sum_{k=0}^{\infty}\mu_k S_{2^n,2^n}(a_k)=f^{(n,n)},\\ &\sum_{k=0}^{\infty}|\mu_k|^p<\infty.\end{aligned}\tag{9}$$

უფრო მეტიც

$$\|f\|_{H_p(G\times G)}\approx\inf\left(\sum_{k=0}^{\infty}|\mu_k|^p\right)^{1/p},$$

სადაც ინფიმუმი აღებულია ყველა შესაძლო წარმოდგენებს შორის, რომელთაც აქვთ (9)-ს სახე.

ამ თეორემის გამოყენებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოპერატორის შემოსაზღვრულობის საჩვენებლად $H_p(G\times G)$-დან $H_p(G\times G)$-ში ან $H_p(G\times G)$-დან $L_p(G\times G)$-ში საკმარისია შევამოწმდეს ამ ოპერატორის შემოსაზღვრულობა მხოლოდ $p-$ატომებზე. უფრო მეტიც, სამართლიანია შემდეგი:

ვთქვათ T სუბწრფივი ოპერატორია და $0<p\le 1$თვის

$$\sup_{\rho>0}\rho^p\left\{x\in\times(G\times G)/(I\times I):|Ta|>\rho\right\}\le c_p<\infty,$$

ყოველი p -ატომისთვის a, სადაც $I\times I$ აღნიშნავს a ატომის სუპორტს. თუ T შემოსაზღვრულია $L_\infty(G\times G)$ -დან $L_\infty(G\times G)$ -ში, მაშინ

$$\|Tf\|_{weak-L_p(G\times G)}\le c_p\|f\|_{H_p(G\times G)},$$

თუ დამატებით $p<1$, მაშინ T -ს აქვს სუსტი (1,1) ტიპი. ე.ი. თუ $f\in L_1(G\times G)$, მაშინ

$$\sup_{\lambda>0}\lambda\,\mu\{|Ta|>\lambda\}\le c\|f\|_{L_1(G\times G)}.$$

თუ $f\in L_1(G\times G)$, მაშინ $\left(S_{2^n,2^n}(f):n\in N\right)$ არის მარტინგალი.

$f=\left(f^{(n,n)},n\in N\right)$ მარტინგალისათვის უოლშ-ფურიეს კოეფიციენტები განიმარტება შემდეგი განსხვავებული გზით:

$$\hat{f}(i,j):=\lim_{k\to\infty}\int_G f^{(k,k)}(x_1,x_2)\beta_i(x_1)\beta_j(x_2)d\mu(x_1,x_2),$$

$$(\beta_l = w_l \text{ ან } \beta_l=\kappa_l,\ (l\in N)).$$

$f\in L_1(G\times G)$ ფუნქციის უოლშ-ფურიეს კოეფიციენტები ემთხვევა $\left(S_{2^n,2^n}(f):n\in N\right)$ მარტინგალის შესაბამის უოლშ-ფურიეს კოეფიციენტებს.

ვთქვათ $\{q_n : n\geq 0\}$ არაუარყოფითი რიცხვების მიმდევრობაა. f ფუნქციის n-ური ნორლუნდის საშუალო განიმარტება შემდეგნაირად:

$$t^{\beta}_{n,n}:=\frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n}q_{n-k}S^{\beta}_{k,k}f, \quad n\geq 1,$$

სადაც

$$Q_n:=\sum_{k=0}^{n-1}q_k, \qquad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa).$$

სამართლიანია შემდეგი წარმოდგენა

$$t^{\beta}_{n,n}f(x)=\int_G f(t)L^{\beta}_{n,n}(x+t)d\mu(t), \quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa)$$

სადაც

$$L^{\beta}_{n,n}:=\frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n}q_{n-k}D^{\beta}_{k,k}$$

არის ნორლუნდის გული.

თუ $q_k=1$, ყველა $k\in N$-თვის მაშინ ჩვენ მივიღებთ მარცინკევიჩის საშუალოს ($(C,1)$-საშუალო)

$$\sigma^{\beta}_{n,n}f:=\frac{1}{n}\sum_{k=1}^{n}S^{\beta}_{k,k}f, \quad \sigma^{\beta}_{0,0}f:=0, \ (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa, \quad n\in N_+)$$

უოლშ-ფურიეს და კაჩმაჟ-ფურიეს მწკრივის (C,α) $(0<\alpha<1)$ საშუალო განიმარტება შემდეგნაირად:

$$\sigma^{\alpha,\beta}_{n,n}f:=\frac{1}{A^{\alpha}_n}\sum_{k=1}^{n}A^{\alpha-1}_{n-k}S^{\beta}_{k,k}f, \quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa,\ n\in N)$$

სადაც

$$A^{\alpha}_0=0, \qquad A^{\alpha}_n=\frac{(\alpha+1)\ldots(\alpha+n)}{n!}, \quad \alpha\neq -1,-2,\ldots$$

ასევე განვიხილოთ შებრუნებული (C,α) $(0<\alpha<1)$ საშუალო:

$$\tau_{n,n}^{\alpha,\beta} := \frac{1}{A^{\alpha}{}_{n}} \sum_{k=1}^{n} A_k^{\alpha-1} S_{k,k}^{\beta} f, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa,\ n \in N).$$

თუ $q_k = 1/k$, ჩვენ მივიღებთ ნორლუნდის ლოგარითმულ საშუალოს

$$R_{n,n}^{\beta} f := \frac{1}{l_n} \sum_{k=0}^{n-1} \frac{S_{k,k}^{\beta} f}{n-k}, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa,\ n \in N)$$

სადაც

$$l_n = \sum_{k=1}^{n} \frac{1}{k}.$$

ასევე განვიხილოთ შებრუნებული საშუალო $P_{n,n}^{\beta}$, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც რისის საშუალო:

$$P_{n,n}^{\beta} f := \frac{1}{l_n} \sum_{k=1}^{n} \frac{S_{k,k}^{\beta} f}{k}, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa,\ n \in N).$$

f მარტინგალისთვის განვიხილოთ შემდეგი მაქსიმალური ოპერატორები:

$$\sigma^{*,*,\beta} f := \sup_{n \in N} \left|\sigma_{n,n}^{\beta} f\right|,$$

$$\sigma^{\alpha,*,*,\beta} f := \sup_{n \in N} \left|\sigma_{n,n}^{\alpha,\beta} f\right|,$$

$$\tau^{\alpha,*,*,\beta} f := \sup_{n \in N} \left|\tau_{n,n}^{\alpha,\beta} f\right|,$$

$$R^{*,*,\beta} f := \sup_{n \in N} \left|R_{n,n}^{\beta} f\right|$$

$$P^{*,*,\beta} f := \sup_{n \in N} \left|P_{n,n}^{\beta} f\right|,$$

სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

ჩვენი შედეგების მისაღებად ასევე გვჭირდება აბელის გარდაქმნა: ნებისმიერი $a_1, a_2, ..., a_m$, $b_1, b_2, ..., b_m$, ნამდვილი რიცხვებისათვის სამართლიანია

$$\sum_{k=n}^{m} a_k b_k = A_m b_m - A_{n-1} b_n + \sum_{k=n}^{m-1} A_k \left(b_k - b_{k+1}\right)$$

ტოლობა, სადაც $a_k = A_k - A_{k-1}$, $k = n, ..., m.$

ძირითადი შედეგების ფორმულირება

(ერთგანზომილებიანი შემთხვევა)

თეორემა 1. ა) ვთქვათ $q_0 > 0$ და $\lim_{n\to\infty} Q_n = \infty.$ ამ შემთხვევაში ნორლუნდის საშუალოების მიმდევრობა უოლშის და კაჩმარსკის სისტემების მიმართ, განსაზღვრული $\{q_n : n \geq 0\}$ არაუარყოფითი მიმდევრობით

$$t_n^\beta f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_k^\beta f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

რეგულარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$\lim_{n\to\infty} \frac{q_{n-1}}{Q_n} = 0.$$

ბ) ვთქვათ $\{q_n : n \geq 0\}$ მიმდევრობა მონოტონურია. მაშინ ნორლუნდის საშუალოების მიმდევრობა უოლშის და კაჩმარსკის სისტემების მიმართ, განსაზღვრული $\{q_n : n \geq 0\}$ არაუარყოფითი მიმდევრობით

$$t_n^\beta f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_k^\beta f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

რეგულარულია.

თეორემა 2. ა) ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის

$$t_n^\beta f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_k^\beta f, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,\beta} f = \sup_{n\in N} \left| t_n^\beta f \right| \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

შემოსაზღვრულია $H_{1/2}$-დან სუსტ-$L_{1/2}$-ში.

ბ) ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\frac{q_0}{Q_n}=O\left(\frac{1}{n}\right),$$

მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,\beta}f=\sup_{n\in N}\left|t_n^{\beta}f\right| \quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa)$$

შემოსაზღვრულია $H_{1/2}$-დან სუსტ-$L_{1/2}$-ში.

შედეგი 1. ა) ვთქვათ $f\in L_1(G)$. ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n\geq 0\}$,

$$\lim_{n\to\infty}t_n^{\beta}f=f \qquad \text{თ.ყ.} \quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa).$$

ბ) ვთქვათ $f\in L_1(G)$. ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n\geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\frac{q_0}{Q_n}=O\left(\frac{1}{n}\right),$$

გვაქვს

$$\lim_{n\to\infty}t_n^{\beta}f=f \qquad \text{თ.ყ.} \quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa).$$

თეორემა 3. ა) ვთქვათ $0<p<1/2$. ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n\geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\frac{q_0}{Q_n}\geq\frac{c}{n}$$

არსებობს მარტინგალი $f\in H_p$, ისეთი, რომ

$$\sup_{n\in N}\left\|t_n^{\beta}f\right\|_{weak-L_p}=\infty, \quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa).$$

ბ) ვთქვათ $0<p<1/2$. ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n\geq 0\}$, არსებობს მარტინგალი $f\in H_p$, ისეთი, რომ

$$\sup_{n\in N}\left\|t_n^{\beta}f\right\|_{weak-L_p}=\infty, \quad (\beta=w \text{ ან } \beta=\kappa).$$

თეორემა 4. ა) ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n\geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\overline{\lim_{n\to\infty}}\frac{q_0 n\log^2 n}{Q_n}=\infty,$$

მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,\beta} f = \sup_{n\in N} \left| t_n^{\beta} f \right|, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa).$$

არ არის შემოსაზღვრულია $H_{1/2}$-დან $L_{1/2}$-ში.

ბ) ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელებიც ამაყოფილებენ პირობას

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{q_{n-1} n \log^2 n}{Q_n} = \infty,$$

მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,\beta} f = \sup_{n\in N} \left| t_n^{\beta} f \right|, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa).$$

არ არის შემოსაზღვრული $H_{1/2}$-დან $L_{1/2}$-ში.

შედეგი 2. შემდეგი მაქსიმალური ოპერატორები $\sigma^{*,\beta}$, $\sigma^{\alpha,*,\beta}$, $\tau^{\alpha,*,\beta}$, $R^{*,\beta}$, $P^{*,\beta}$ არ არის შემოსაზღვრულია $H_{1/2}$-დან $L_{1/2}$-ში, სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

(ორგანზომილებიანი შემთხვევა)

თეორემა 5. ა) ვთქვათ $q_0 > 0$ და $\lim_{n\to\infty} Q_n = \infty$. ამ შემთხვევაში ნორლუნდის საშუალოების მიმდევრობა უოლშის და კაჩმაჟის სისტემების მიმართ, განსაზღვრული $\{q_n : n \geq 0\}$ არაუარყოფითი მიმდევრობით

$$t_{n,n}^{\beta} f = \frac{1}{Q_n} \sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_{k,k}^{\beta} f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

რეგულარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$\lim_{n\to\infty} \frac{q_{n-1}}{Q_n} = 0.$$

ბ) ვთქვათ $\{q_n : n \geq 0\}$ მიმდევრობა მონოტონურია. მაშინ ნორლუნდის საშუალოების მიმდევრობა უოლშის და კაჩმარსკის სისტემების მიმართ, განსაზღვრული $\{q_n : n \geq 0\}$ არაუარყოფითი მიმდევრობით

$$t_{n,n}^{\beta} f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_{k,k}^{\beta} f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

რეგულარულია.

თეორემა 6. ა) ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის

$$t_{n,n}^{\beta} f = \frac{1}{Q_n}\sum_{k=1}^{n} q_{n-k} S_{k,k}^{\beta} f, \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,*,\beta} f = \sup_{n \in N}\left|t_{n,n}^{\beta} f\right| \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

შემოსაზღვრულია $H_{2/3}$-დან სუსტ-$L_{2/3}$-ში.

ბ) ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\frac{q_0}{Q_n} = O\left(\frac{1}{n}\right),$$

მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,*,\beta} f = \sup_{n \in N}\left|t_{n,n}^{\beta} f\right| \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

შემოსაზღვრულია $H_{2/3}$-დან სუსტ-$L_{2/3}$-ში, სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

შედეგი 3. ა) ვთქვათ $f \in L_1(G \times G)$. ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$,

$$\lim_{n\to\infty} t_{n,n}^{\beta} f = f \qquad \text{თ.ყ.} \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa).$$

ბ) ვთქვათ $f \in L_1(G \times G)$. ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\frac{q_0}{Q_n} = O\left(\frac{1}{n}\right),$$

გვაქვს

$$\lim_{n\to\infty} t_{n,n}^{\beta} f = f \qquad \text{თ.ყ.} \qquad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa).$$

თეორემა 7. ა) ვთქვათ $0 < p < 2/3$. ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\frac{q_0}{Q_n} \geq \frac{c}{n},$$

არსებობს მარტინგალი $f \in H_p$, ისეთი, რომ

$$\sup_{n\in N}\left\|t_{n,n}^{\beta} f\right\|_{weak-L_p} = \infty \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa).$$

ბ) ვთქვათ $0 < p < 2/3$. ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, არსებობს მარტინგალი $f \in H_p$, ისეთი, რომ

$$\sup_{n\in N}\left\|t_{n,n}^{\beta} f\right\|_{weak-L_p} = \infty \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa).$$

თეორემა 8. ა) ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაკლებადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{q_0 n \log^{3/2} n}{Q_n} = \infty,$$

მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,*,\beta} f = \sup_{n\in N}\left|t_{n,n}^{\beta} f\right| \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa)$$

არ არის შემოსაზღვრულია $H_{2/3}$-დან $L_{2/3}$-ში.

ბ) ყოველი ნორლუნდის საშუალოსათვის, არაუარყოფითი, არაზრდადი კოეფიციენტებით $\{q_n : n \geq 0\}$, რომელებიც ამაყოფილებენ პირობას

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{q_{n-1} n \log^{3/2} n}{Q_n} = \infty,$$

მაქსიმალური ოპერატორი

$$t^{*,*,\beta} f = \sup_{n\in N}\left|t_{n,n}^{\beta} f\right|$$

არ არის შემოსაზღვრული $H_{2/3}$-დან $L_{2/3}$-ში, სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

შედეგი 4. შემდეგი მაქსიმალური ოპერატორები $\sigma^{*,*\beta}$, $\sigma^{\alpha,*,*\beta}$, $\tau^{\alpha,*,*\beta}$, $R^{*,*\beta}$, $P^{*,*\beta}$ არ არის შემოსაზღვრულია $H_{2/3}$-დან $L_{2/3}$-ში, სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

ძირითადი შედეგების

დამტკიცება

(ერთგანზომილებიანი შემთხვევა)

თეორემა 1-ის დამტკიცება. ვთქვათ $\overline{\lim_{n\to\infty}} S_n f(x_0) \to f(x_0)$. მაშინ არსებობს N_0, ისეთი რომ

$$\left|S_n f(x_0) - f(x_0)\right| \le \varepsilon, \quad \text{როცა} \quad n \ge N_0.$$

რადგან $\{ q_n : n \ge 0 \}$ არაუარყოფითი მიმდევრობაა გვექნება

$$\begin{aligned}
&\left|t_n^{\beta}\left(f(x)\right) - \left(f(x)\right)\right| \\
&\le \frac{1}{Q_n} \sum_{j=1}^{N_0} q_{n-j} \left|S_j^{\beta}\left(f(x)\right) - f(x)\right| \\
&+ \frac{1}{Q_n} \sum_{j=N_0+1}^{n} q_{n-j} \left|S_j^{\beta}\left(f(x)\right) - f(x)\right| \\
&= I + II,
\end{aligned}$$

სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

რადგან მოცემული x_0 წერტილისთვის N_0 სასრული ფიქსირებული რიცხვია, მივიღებთ

$$\begin{aligned}
I &\le c N_0 \max_{1\le k\le N_0} \left|S_j^{\beta}\left(f(x)\right) - f(x)\right| \sup_{1\le k\le N_0} \frac{q_{n-k}}{Q_{n-k-1}} \\
&\le c \max_{1\le k\le N_0} \frac{q_{n-k}}{Q_{n-k-1}} \to 0,
\end{aligned}$$

როცა $n \to \infty$.

II -თვის შეგვიძლია დავწეროთ

$$
\begin{aligned}
II &\le \frac{1}{Q_n}\sum_{j=N_0+1}^{n} q_{n-j}\left|S_j^{\beta}\left(f(x)\right)-f(x)\right| \\
&\le \frac{\varepsilon}{Q_n}\sum_{j=N_0+1}^{n} q_{n-j} \le \frac{\varepsilon}{Q_n}\sum_{j=1}^{n} q_{n-j} \\
&= \frac{\varepsilon}{Q_n}\sum_{j=0}^{n-1} q_j = \varepsilon.
\end{aligned}
$$

სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$, $n \in N$. რაც ამთავრებს თეორემა 1-ის პირველი ნაწილის საკმარისობის დამტკიცებას.

ეხლა დავამტკიცოთ აუცილებლობა. დავუშვათ საწინააღმდეგო. ვთქვათ

$$
\lim_{n\to\infty}\left|\frac{q_{n-1}}{Q_n}\right| = A > 0 .
$$

განვიხილოთ ფუნქცია

$$
f(x) = \beta_1, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa).
$$

თუ გამოვიყენებთ უოლშის და კაჩმაჟის სისტემების ორთონორმირებულობას მივიღებთ

$$
S_n\beta_1(x) = \begin{cases} 0, & n = 1, \\ \beta_1(x), & n > 1, \end{cases}
$$

სადაც $\beta_1 = w_1$ ან $\beta_1 = \kappa_1$. ამიტომ

$$
\lim_{n\to\infty} S_n\beta_1(x) = \beta_1(x)
$$

ყველა წერტილში.

მეორე მხრივ

$$
\begin{aligned}
&\left|t_n^{\beta}\left(\beta_1(x)\right)-\beta_1(x)\right| \\
&= \left|\frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{n} q_{n-j} S_j^{\beta}\left(\beta_1(x)\right)-\beta_1(x)\right| \\
&= \left|\frac{1}{Q_n}\sum_{j=2}^{n} q_{n-j} S_j^{\beta}\left(\beta_1(x)\right)-\beta_1(x)\right| \\
&= \left|\frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{n} q_{n-j} S_j^{\beta}\left(\beta_1(x)\right)-\beta_1(x)+\frac{q_{n-1}}{Q_n}\beta_1(x)\right| \\
&= \left|\frac{q_{n-1}}{Q_n}\beta_1(x)\right| = \left|\frac{q_{n-1}}{Q_n}\right|.
\end{aligned}
$$

ამიტომ

$$\lim_{n\to\infty}\left|t_n^{\beta}\left(\beta_1(x)\right)-\beta_1(x)\right|$$
$$=\lim_{n\to\infty}\left|\frac{q_{n-1}}{Q_n}\right|=A>0.$$

თეორემა 1-ის პირველი ნაწილი დამტკიცებულია.

ბ) აბელის გარდაქმნის გამოყენებით მივიღებთ

(10) $$Q_n:=\sum_{j=0}^{n-1}q_j=\sum_{j=1}^{n}q_{n-j}=\sum_{j=1}^{n-1}\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right)j+q_0 n$$

და

(11) $$\begin{aligned}&t_n^{\beta}\left(f(x)\right)\\&=\frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{n}q_{n-j}S_j^{\beta}\left(f(x)\right)\\&\le\frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-1}\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right)j\sigma_j^{\beta}\left(f(x)\right)+q_0 n\sigma_n^{\beta}\left(f(x)\right)\right).\end{aligned}$$

(10) ტოლობის $f(x)$-ზე გამრავლებით მივიღებთ

$$f(x)=\frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{n}q_{n-j}=\sum_{j=1}^{n-1}\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right)jf(x)+q_0 nf(x).$$

ვთქვათ მიმდევრობა $\{q_n:n\ge 0\}$ არაკლებადია. მაშინ (10) და (11) ტოლობების გამოყენებით

$$\begin{aligned}&\left|t_n^{\beta}\left(f(x)\right)-f(x)\right|\\&\le\frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{n-1}\left|q_{n-j}-q_{n-j-1}\right|j\left|\sigma_j^{\beta}\left(f(x)\right)-f(x)\right|\\&+\frac{q_0 n}{Q_n}\left|\sigma_n^{\beta}\left(f(x)\right)-f(x)\right|\\&=I+II.\end{aligned}$$

ადვილი სანახავია, რომ ყოველი არაკლებადი $\{q_n:n\ge 0\}$ მიმდევრობისათვის

$$\frac{q_0 n}{Q_n}\le\frac{q_0 n}{q_0 n}=1.$$

თუ გამოვიყენებთ σ_n^{β}-ის რეგულარობას მივიღებთ

$$II\to 0,\quad \text{როცა}\quad n\to\infty$$

და

$$\left|\sigma_n f(x_0)-f(x_0)\right|\le\varepsilon,\quad \text{როცა}\quad n\ge N_0.$$

I -თვის შეგვიძლია დავწეროთ

$$\begin{aligned} I &\le \frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{n-1}\left|q_{n-j}-q_{n-j-1}\right| j \left|\sigma_j^{\beta}\left(f(x)\right)-f(x)\right| \\ &\le \frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{N_0}\left|q_{n-j}-q_{n-j-1}\right| j \left|\sigma_j^{\beta}\left(f(x)\right)-f(x)\right| \\ &+ \frac{1}{Q_n}\sum_{j=N_0+1}^{n-1}\left|q_{n-j}-q_{n-j-1}\right| j \left|\sigma_j^{\beta}\left(f(x)\right)-f(x)\right| \\ &= I_1 + I_2 . \end{aligned}$$

ადვილი სანახავია, რომ

$$\begin{aligned} I_1 &\le cN_0 \max_{1\le k\le N_0}\left|\sigma_j^{\beta}\left(f(x)\right)-f(x)\right| \max_{1\le k\le N_0}\frac{q_{n-k}}{Q_{n-k-1}} \\ &\le c \max_{1\le k\le N_0}\frac{q_{n-k}}{Q_{n-k-1}} \to 0, \quad \text{როცა} \quad n\to\infty. \end{aligned}$$

I_2 -თვის შეგვიძლია დავწეროთ

$$\begin{aligned} I_2 &\le \frac{\varepsilon}{Q_n}\sum_{j=N_0+1}^{n} q_{n-j} \\ &\le \frac{\varepsilon}{Q_n}\sum_{j=N_0+1}^{n}\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right) j \\ &\le \frac{\varepsilon}{Q_n}\sum_{j=1}^{n}\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right) j \\ &= \frac{\varepsilon}{Q_n}\sum_{j=0}^{n-1} q_j = \varepsilon. \end{aligned}$$

ე.ი როცა მიმდევრობა $\{q_n : n\ge 0\}$ არაკლებადია, მაშინ ნორლუნდის საშუალოები რეგულარულია.

ვთქვათ მიმდევრობა $\{q_n : n\ge 0\}$ არაზრდადია, მაშინ

$$\frac{q_{n-1}}{Q_n} \le \frac{q_{n-1}}{nq_{n-1}} = \frac{1}{n} \to 0, \ \text{როცა} \ n\to\infty.$$

თეორემა 1-ის პირველი ნაწილის თანახმად ამ შემთხვევაშიც გვაქვს რეგულარობა.

რაც ასრულებს თეორემა 1-ის დამტკიცებას.

თეორემა 2-ის დამტკიცება. ვთქვათ მიმდევრობა $\{q_n : n \ge 0\}$ არაკლებადია. აბელის გარდაქმნის, (10)-ის და (11)-ის გამოყენებით მივიღებთ

$$\left|t_n^{\beta}\left(f(x)\right)\right| \le \frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-1}\left|\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right)j\right|\left|\sigma_j^{\beta}\left(f(x)\right)\right| + q_0 n\left|\sigma_n^{\beta}\left(f(x)\right)\right|\right)$$
$$\le \frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-1}\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right)j + q_0 n\right)\left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right| \le \left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right|,$$

სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

რადგან ეს უტოლობა სამართლიანია ნებისმიერი $n \in N$-ისათვის საბოლოოდ მივიღებთ

(12) $$\left|t^{*,\beta}\left(f(x)\right)\right| \le \left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right|,$$

სადაც $\beta = w$ ან $\beta = \kappa$.

ვთქვათ მიმდევრობა $\{q_n : n \ge 0\}$ არაზრდადია და

(13) $$\frac{q_0}{Q_n} = \overline{O}\left(\frac{1}{n}\right).$$

აბელის გარდაქმნის, (10)-ის და (13) პირობის გამოყენებით მივიღებთ

(14)
$$\left|t_n^{\beta}\left(f(x)\right)\right| = \left|\frac{1}{Q_n}\sum_{j=1}^{n} q_{n-j} S_j^{\beta}\left(f(x)\right)\right|$$
$$\le \frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=0}^{n-1}\left|q_{n-j}-q_{n-j-1}\right| j + q_0 n\right)\left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right|$$
$$\le \frac{1}{Q_n}\left(\sum_{j=1}^{n-1}\left(q_{n-j-1}-q_{n-j}\right)j - q_0 n + 2q_0 n\right)\left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right|$$
$$\le \frac{1}{Q_n}\left(-\left(\sum_{j=1}^{n-1}\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right)j + q_0 n\right) + 2q_0 n\right)\left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right|$$
$$\le \frac{1}{Q_n}\left|\sum_{j=0}^{n-1}\left(q_{n-j}-q_{n-j-1}\right)j + q_0 n\right|\left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right|$$
$$+\frac{2q_0 n}{Q_n}\left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right| \le 3\left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right|$$

და

(15) $$\left|t^{*,\beta}\left(f(x)\right)\right| \le \left|\sigma^{*,\beta}\left(f(x)\right)\right|, \quad (\beta = w \text{ ან } \beta = \kappa).$$

